ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

№ 13
(11 265)

19 – 22 თებერვალი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალი ამბები სფფ-დან

13 ქვეყანა „ინტერტოტოს“ რიგში დგას

უეფამ თხოვნით მიმართა ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს გადაწყვიტონ „ინტერტოტოს“ თასის გათამაშებაში თავიანთი ქვეყნის გუნდის მონაწილეობის საკითხი და პასუხი აცნობონ უეფას შტაბბინას მიმდინარე წლის 9 აპრილამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ, განაცხადს, ცხადია, აღარ მიიღებენ, მაგრამ თუ ვინმე თანხმობის მერე იტყვის უარს გათამაშებაში მონაწილეო-

იხ. მე-3 გვ.

აი, როგორია ჩემპიონატის თილისმა

იხ. მე-6 გვ.

დაჯილდოება

საქართველოში ფრენბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ***სერგეი ტარახჩიანი*** დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

მილოცვა

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს წარსულში ცნობილ ფრენბურთელს და ახალგაზრდა სპორტსმენთა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ***სერგეი ტარახჩიანს.***

სერგო ხატიაშვილი და მეუღლე ნათია გაბედავა

ახალგაზრდა მოფარიკავემ სერგო ხატიაშვილმა საკუთარ ოჯახს დააკლო ფული, რათა ირანში ბრინჯაოს მედალი შეეძინა...

იხ. მე-3 გვ.

საუკეთესოა „ბოკას“ თავკაცი

ურუგვაის გაზეთ „ელ პაისის“ გამოკითხვაში ევროპასა და აზიის 56 ქვეყნის 300-მა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა. მათ სხვადასხვა ნომინაციების გარდა, დაასახელეს ამერიკის 1998 წლის საუკეთესო მწვრთნელი — ასეთი პატივი წილად ხვდა სახელოვანი „ბოკა ხუნიორსის“ არგენტინელ მწვრთნელ კარლოს ბიანკის, რომელსაც ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ეუჯენიო ფიგუარედომ სურათზე მარცხნივ გადასცა ეს პრიზი.

კევინ კიგანი ინგლისის ეროვნული ნაკრების დროებით მწვრთნელად დაინიშნა

იხ. მე-3 გვ.



სპორტის დინამიკა, ასპარეზობის ცალკეული მომენტების განუმეორებელი მშვენიერება ის წამიერი გაელვებაა, რომელიც მართლაც ელვასავით გამოკრთება და მორჩა... მაგრამ არა, თუ ფოტოხელოვანმა ასევე ელვისებურად მოასწრო მისი დაფიქსირება, „უკვდავება“ გარანტირებულია.

ასე შევა სპორტისა და ფოტოხელოვნების ისტორიაში რეპორტიორ საიმონ ბრუტის სახელი, რომელმაც ეს კადრი ფეხბურთში მსოფლიოს თასის გათამაშებას „გამოსტაცა“ და იგი ყოველწლიური პრესტიჟული კონკურსის „World press Foto“-ს ლაურეატი გახადა.

ბებერი რეკორდის აღსასრული

იხ. მე-6 გვ.

ნატო ნასარიძე

თურქეთში ნატო ნასარიძისა და რამაზ ფალიანის სპორტული კლუბი გაკოტრდა...

იხ. მე-2 გვ.

რამაზ ფალიანი

პელეს ვაჟს ციხე ელის

მალე სასამართლოს წინაშე წარსდგომა მოუწევს სახელგანთქმულ პელეს ვაჟს, რომელსაც ბრალად ედება 1992 წელს მოტოციკლისტის განზრახ მკვლელობა. ნარკოტიკით გაბრუებულმა ედსონ შალბი დუ ნასიმენტუმ სან-პაულუს ავტოსტრადაზე ხელი შეუწყო მეწყვილეს დასჯახებოდა მოტოციკლისტს, რასაც ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. ყოფილ მეკარეს იმაშიც ამტყუნებენ, რომ სხეული დაუზიანა მეწყვილე მარსილიუ ხოზესა და მანქანაში მყოფ ორ მგზავრს.

დანაშაულის აღიარების შემთხვევაში ფეხბურთის ვარსკვლავის ნაშიერს 6-დან 20 წლამდე პატიმრობა ელის.

საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 74 წლისა უეცრად გარდაიცვალა ამავე აკადემიის პრორექტორი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი ორგანიზატორი, დოცენტი

რევაზ კერესელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 21-22.II, გამოსვენება 23.II, ვაჟა-ფშაველას, 46.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს განათლებისა და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის

რევაზ კერესელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თემა განსჯისათვის

მეტი არ შემიძლია!

გვეუბნება სახელმწიფო, თუმცა, საპარლამენტო მოხსენებაში პრეზიდენტი ქებით იხსენიებს ეროვნული სპორტის მონაგარს

„სპორტის დაფინანსების დარგში კრიტიკული ვითარება შეიქმნა. მიმდინარე წლის ბიუჯეტის დავალიანებამ 1,3 მლნ. ლარი შეადგინა, გაუცემელია მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა მრავალი თვის ხელფასი. თუმცა, სხვადასხვა დონის საერთაშორისო ასპარეზობებზე მაინც მოხერხდა სპორტსმენების წარგზავნა და მოპოვებულ იქნა 133 მედალი. ამ მხრივ, 1998 წელი ყველაზე უხვმოსავლიანია ბოლო 8 წლის განმავლობაში. მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 17 მედალი და გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს 131 ქვეყანას შორის საპატიო მე-6 ადგილი დაიკავეს.

1999 წელი წინასაოლიმპიადო შეჯიბრებების წელია. მეტი ყურადღება სჭირდება სპორტს, მოსახლეობის, ახალგაზრდობის სპორტულ აღზრდას“.

როცა ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ქართული სპორტის ღვაწლს და მონაგარს, უდავოდ საამაყოა, ახალ სტიმულს აძლევს ყველას და კიდევ უფრო მეტი წარმატებებისთვის განაწყობს. მაგრამ... განაწყობს კი? პრეზიდენტის გამოსვლაში ხომ ისიც კარგად ჩანს თუ რამდენი მართებს სპორტის ბიუჯეტს, რამდენი ხანია არ დარიგებულა ხელფასები, რამდენი ხანია დაპირებებს ბოლო არ უჩანს... მოდით, თავს მეტად ნუღარ მოვიტყუებთ, რაც უფრო ადრე ჩავხედავთ თვალებში რეალობას, მით უკეთესი. რეალობა კი ასეთია: დაჩქარდეს ქვეყნისთვის სპორტის სტრატეგიული სახეობების დადგენა, შესაბამისად გადანაწილდეს თანხები, თუ ქვეყანა გვეუბნება, რომ მეტი არ შეუძლია, პასუხიც ადეკვატური უნდა იყოს — ქართულ სპორტსაც მეტი აღარ შეუძლია, მორჩა და გათავდა! ცხადია, მტკივნეულია ამის გაცხადება, მტკივნეულია სპორტის სახეობების გამორჩევა, მაგრამ სხვა გზა რომ არ ჩანს...

ნდობის ლიმიტი ამოიწურა, ხომ გვიჩვენა იანვარმა და მიმდინარე თვემ, რომ ავანსად შეჯიბრებებზე გამგზავრება და ეროვნული შეჯიბრებების ნისიად ჩატარება, უკვე თითქმის შეუძლებელია და ეს უხალისო, ქართული სპორტის მომაკვდინებელი პროცესი, დალალატებიდან და უსასრულო დაპირებებიდან რომ იღებს სათავეს, ბოლოს და ბოლოს დასასრულს უახლოვდება. ამიტომ მიგვაჩნია გადაუდებლად რაღაც ეფექტური ნაბიჯის გადადგმა, დაყოვნებამ შეიძლება ერთბაშად დაგვაყენოს კრახის წინაშე, როცა უკვე გაცილებით ძნელი ან თითქმის შეუძლებელი იქნება სასიკეთო შემობრუნება.

ნუღარ ვაყოვნებთ, დროზე გავაკეთოთ ის, რისი გაკეთება ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს. იქნებ, მართლაც ორმაგად ის შველის, ვინც საქმეს დროზე შველის!

მიმომხილველი

ინტერვიუ სპეციალური

ნაგო ნასარიძე თურქეთისთვის ოლიმპიურ მედალზე ოცნებობს

მშვილდოსანი ნატო ნასარიძე ერთ-ერთი მათგანია მათ შორის, ვინც უსახსროდ და დაუფინანსებელ ქართულ სპორტში დარჩენას უცხოეთში თავის შეფარება არჩია. ნატომ თურქეთის მოქალაქეობა მიიღო და ამით, როგორც სპორტსმენმა, თავიც გადაირჩინა!

ნატო ნასარიძე თურქეთის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენად ითვლება. ორჯერ ზედიზედ, 1996 და 1997 წლებში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახელეს იქაურმა ჟურნალისტებმა. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ ქართველი სპორტსმენი ქალის აღიარება იმ ქვეყანაში მოხდა, სადაც ქართველ ქალს სახელი გაუტყდა და თავმოყვარე თურქებს „გურჯი ხანუმის“ გაგონებაც ზარავთ.



ნატო ნასარიძე

ნატო ნასარიძე დღეს თურქეთის მშვილდოსანთა ნაკრების ლიდერია, ხოლო მისი პირადი მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი ამავე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელიცაა, ხოლო უპირველესად, კვლავაც ნატო ნასარიძეს მეურვეობს.

ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, ტელეფონითაა აღებული.

● *ნატო, წინა წლებში თურქეთის საუკეთესო სპორტსმენ ქალად გადიარეს. შარშანდელი შედეგებით ხომ არ გაქვს ანალოგიური წარმატების შანსი?*

— ჯერჯერობით თურქეთში არ დაუსახელებიათ 1998-ის საუკეთესო სპორტსმენები. ამ გამოკითხვას თურქეთის ერთ-ერთი გაზეთი „მილეთი“ აწყობს. ალბათ, თებერვლის ბოლოს გახდება ცნობილი საუკეთესოთა ვინაობა.

შარშან საკმაოდ წარმატებით ვიასპარეზე, მაგრამ წინასწარ მიჭირს რაიმეს თქმა. ვნახოთ, არჩევანს აქაური სპორტული ჟურნალისტები გააკეთებენ და თუ ღირსი ვარ, საუკეთესოდაც მცნობენ. მეტად ობიექტური ხალხია, რაშიც წინა წლებში დავრწმუნდი.

● *სპორტული სეზონი ახლა იწყება. შენს წლევანდელ გეგმებზე რას გვეტყვი?*

— ახლა ვვარჯიშობ და მომავალი ტურნირებისთვის ვემზადები. ესაა წინა ოლიმპიური შეჯიბრებები, აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონატები, ძირითადი საზრუნავიც იქ თავის გამოჩენა და ლიცენზიების მოპოვებაა. პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაზე კი აქვე, ისტანბულში გამოვალ 21 თებერვალს და მასში მსოფლიოს რეიტინგით 4 საუკეთესო მშვილდოსანი იასპარეზებს — 2 ქალი და 2 ვაჟი. ქალთა შორის საუკეთესონი მე და იტალიის სახელით მოასპარეზე ნატალია ვალეევა ვართ შარშანდელი რეიტინგით. ვალეევა პირველი იყო, მე — მეორე. ეს მეტად პრესტიჟული ტრადიციული ტურნირია და მას „ვარსკვლავთა ტურნირსაც“ უწოდებენ, გარდა ამისა, იგი კომერციულია და მისი საპრიზო ფონდიც საკმაოდ სოლიდურია. ამ ტურნირით გავხსნი ჩემს წლევანდელ სპორტულ სეზონს, შეეცდები, ისიც მოვიგო და სხვებში წარმატებით გამოვიდე.

● *ოლიმპიური ლიცენზიები რომელ ტურნირებზე გათამაშდება?*

— წლეულს 4 გრან-პრის ტურნირი ჩატარდება, აგრეთვე, ზაფხულის მსოფლიო ჩემპიონატი — კუბაში. აი, ვინც ამ 5 შეჯიბრებაში თავს ისახელებს, სიდნეიშიც ის წავა.

● *ერთ-ერთი უთუოდ ნატო ნასარიძე იქნება...*

— ღმერთმა გისმინოთ. მეც ამასვე ვაპირებ. არა, ულიცენზიოდ არ დავრჩები, ამაში ეჭვი არც მეპარება. მე უფრო მეტი, ოლიმპიური მედალი მინდა.

● *ნატო, გვახსოვს, ადრე თურქეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან პრობლემები გქონდა, ვიცი, ეს პრობლემებიც გადაიჭრა შენი და ვლადიმერ ლეკვეიშვილის მეცადინეობით. ახლა როგორი ურთიერთობა გაქვს ნაკრების თავკაცებთან?*

— გუნდის მთავარი მწვრთნელი კვლავაც იტალიელი მარიო კოდისმიტია. კი, იყო ადრე რაღაც გაუგებრობა, მაგრამ ახლა არც ღირს იმის გახსენება. ნაკრების მწვრთნელთან და, საერთოდ, თურქეთის მშვილდოსნობის ფედერაციასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. დიდად მაფასებენ და პატივს მცემენ.

● *შენ და ვლადიმერ ლეკვეიშვილი ნაკრების გარდა, ანკარის მშვილდოსანთა კლუბის წევრებიც იყავით. კლუბში თქვენს საქმიანობაზე რას გვეტყვით?*

— მე და ჩემი მწვრთნელი ვიყავით კლუბ „ემლაკ ბანკის“ წევრები. გარკვეული პრობლემების გამო „ემლაკ ბანკი“ დაიშალა. თავად ბანკი რაღაც ფორმით ისევ არსებობს, მაგრამ სპორტკლუბი აღარ არის. ამის გამო, არარსებული კლუბის წევრები, ბუნებრივია, აღარ ვართ. ახლა თურქეთის მშვილდოსნობის ფედერაცია აპირებს საკუთარი კლუბის დაარსებას. ეს კლუბი მალე დაფუძნდება, მეც და ვლადიმერ ლეკვეიშვილიც ამ ახალ კლუბში გადავალთ. ეს უკეთესიცაა ჩვენთვის.

● *თურქეთში შენს გარდა სხვა ქართველი სპორტსმენებიც არიან. მათ შესახებ თუ იცი რამე?*

— არა, მათი არაფერი ვიცი. მხოლოდ მოკრივე რამაზ ფალიანთან მაქვს ურთიერთობა. ამას წინათ მე და რამაზი შეკრებაზეც ერთად ვიყავით. თანაც, რამაზიც კლუბ „ემლაკ ბანკის“ წევრი იყო და ერთი კლუბის წევრობა გვიადვილებდა ურთიერთობას. ახლაც, მე და რამაზ ფალიანი ხშირად ვურეკავთ ხოლმე ერთმანეთს ტელეფონით. ერთმანეთისთვის სპორტული წარმატების მილოცვას კი, აბა, რა თქმა უნდა, ვერავინ გვასწრებს.

კურტანიძე ხალიჩიდან დასისხლიანებული გაიყვანეს

იაშარ დოგუსის სახელობის თურქეთის საერთაშორისო ტურნირმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელიც ამ დღეებში ანკარაში ჩატარდა, 20-მდე ქვეყნის უძლიერეს ფალავნებს მოუყარა თავი. ინტერესი ამ ტურნირისადმი გაზარდა იმანაც, რომ სწორედ ანკარაში, იმავე დარბაზში, სადაც ეს ტურნირი მოეწყო, ჩატარდება წევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ოქტომბრის პირველ დეკადაში. საქართველო პირველი ნაკრებით წარსდგა ტურნირზე. ცხადია, განსაკუთრებით მეტოქეთა ყურადღების ცენტრში ცნობილი ფალავნები ელდარ კურტანიძე და დავით პოღოსიანი მოექცნენ. ელდარმა ქვეჯგუფში ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. ბოლო ორთაბრძოლაში მან მასპინძელს 9:0 სძლია, მაგრამ თურქმა იმდენი მაინც მოახერხა შერკინებისას გამუდმებულად თავის რტყმევით ელდარი დაესისხლიანებინა, რასაც მსაჯები, სამწუხაროდ, ვერ ხედავდნენ. ელდარს ხელიც აუწიეს გამარჯვების ნიშნად და სწორედ აქ მოხდა ინციდენტი — მასპინძელმა ელდარისაგან ხელის ჩამორთმევა იუკადრისა, რასაც არაკორექტულობა მოჰყვა ორივე მოჭიდავისაგან. „შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ელდარის გამოსვლა ხალიჩაზე ჯერ სახეში მიყენებული ტრავმებისა და შემდეგ მომხდარი ექსცესის გამო, აღარ იქნებოდა მიზანშეწონილი“, — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.

დავით პოღოსიანმა ბოლო ვარჯიშზე, შეჯიბრების წინ, ცრუ ნეკნი დაიზიანა და ჩვენი მწვრთნელები რისკზე აღარ წავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრებს ქვეყნის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ესწრებოდა, რაც ორგანიზატორების და მსაჯების ობიექტურობაზე მოქმედება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფინალში თურქი ჭიდაობდა. ასეთი წნეხის მსხვერპლი გახდა გორელი ფალავანი ოთარ თუშიშვილი (58 კგ), რომელსაც მინიმალური სხვაობით 3:2 აჯობა მასპინძელმა დუგანმა. გამარჯვებულებს თვით დემირელი აჯილდოებდა. მეორე გორელმა მოჭიდავემ გოჩა ჩიხრაძემ (85) მეოთხე ადგილი დაიკავა. გურჯაანელი რეზო მინდორაშვილი (76) კი მხოლოდ ქვეჯგუფში დასჯერდა მეორე ადგილს, რაც ასპარეზობის გასაგრძელებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს იყო და ეს. მოკლედ, როგორც ხედავთ, აშკარად შეუფერებელი შედეგებით დაბრუნდნენ შინ ჩვენი ქვეყნის რჩეული ფალავნები. და, აქვე არ შეიძლება არ ვიკითხოთ: ღირდა კი გამგზავრება ტურნირზე? ამ კითხვას ალბათ სპეციალისტები და თვით ფედერაცია გასცემს ახლო მომავალში ამომწურავ პასუხს. ერთადერთი, რისთვისაც ალბათ ღირდა ანკარაში ჩასვლა და ასპარეზობა, ის არის, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ატმოსფეროს შეგრძნებაც აუცილებელი იყო. თუნდაც იმ ატმოსფეროსი, სადაც ფალავანი კარგად მომზადებული უნდა იყოს არა მხოლოდ ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. ოქტომბრამდე საკმარისი დროა.

მ. ფუფუნავა

გამოხმაურება

ბატონო აკაკი!

რომ იცოდეთ, რა აუწერელი სიხარული განმაცდევინა თქვენმა წერილმა -შეგონებამ, რომელიც „ლელომ“ (№9) გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ წერილში საქები არაფერია ჩვენს მთამსვლელების მიმართ, მაინც მსიამოვნებს, ვინაიდან, თურმე ქართული მთამსვლელობა და მისი ბედი კიდევ აღელვებს ჩვენნი ვიღაცას კი არა, მწერალს, რომელიც ერის სულიერების, და არა მარტო სულიერების, მეცოხოვნედ ვთვლი... და სასიამოვნოა, რომ მთამსვლელობის პრობლემა წამოჭრა სწორედ მწერალმა, ისინი ხომ ყოველთვის მხარში ედგნენ ჩვენს ალპინისტებს...

ახლა, რაც შეეხება თქვენს შენიშვნებს, ბატონო აკაკი, გეტყვით შემდეგს: გარდა იმისა, რომ ხდის ხეობაში არის შესანიშნავი ქართველი მწერლისა და დრამატურგის, მთამსვლელობის დიდი ქომაგის ბატონ ლევან გოთუას სახელობის მწვერვალი, არც სხვა გამოჩენილი ერის შვილები დაგვიწყებია ქართველ ალპინისტებს. კერძოდ, ჭაუხების რაიონში არის ორი გურამის — თიკანაძისა და რჩეულიშვილის სახელობის, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მწვერვალები, რომელთაც პირველამსვლელთა უფლებით ეს სახელები დაერქვა ოფიციალურად და მას ვერავინ წაშლის. რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მწვერვალის საკითხს, ჩვენი ალპინისტები უთუოდ გაითვალისწინებენ...

გია თორთლაძე,
საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი

სპორტის იურიდიული საფუძვლები

ვინ ხართ თქვენ, ფედერაციებო?

საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციები, კერძოდ, სპორტული ფედერაციების იურიდიული სტატუსი ბევრისთვის, მათ შორის თვით ამ ფედერაციებისთვის, ბოლომდე გაურკვეველია. მართლაც, რას წარმოადგენენ ისინი, როგორ და რომელ კანონს ესადაგება, რა იურიდიული დოკუმენტით რეგულირდება მათი ფუნქცია? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ლელოს“ თხოვნით, საუბრობს იურისტი ომედა ხუციშვილი.

არასამეწარმეო ორგანიზაციები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული საქართველოს სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შეიქმნა სპორტული ასოციაციები (ფედერაციები). 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ყველა არაკომერციული იურიდიული პირები ხელახალი რეგისტრაციის ქვემდებარედ გამოცხადდა.

სპორტული ფედერაციების უმრავლესობას ხელახალი რეგისტრაცია არა აქვს გავლილი, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. რიგი გარემოებათა გამო საჭიროდ მიმაჩნია მცირე კომენტარის გაკეთება და დაინტერესებული პირისათვის სანიმუშოდ ტიპიური წესდების გამოქვეყნება.

* * *

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.1. მუხლის შესაბამისად: **„იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობას, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ“.**

იურიდიული პირები ერთმანეთისაგან ორი ძირითადი კრიტერიუმით განსხვავდებიან: 1. წევრობის ხასიათის, 2. საქმიანობის მიხედვით. წევრობის ხასიათის მიხედვით იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან დამოუკიდებელი და საქმიანობის მიხედვით — სამეწარმეო საქმიანობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით **„იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი“.** კავშირი წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიული პირია, რომლის დასაფუძნებლად აუცილებელია საერთო მიზნით გაერთიანებული სულ ცოტა ხუთი პირის ნება. **„კავშირის რეგისტრაციას ახორციელებს კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლო, ხოლო ფონდისას — იუსტიციის სამინისტრო“.** კავშირის დამფუძნებლებმა აუცილებლად უნდა აირჩიონ გამგეობა, რომლის უფლებამოსილება ახალი გამგეობის არჩევამდე განისაზღვრება.

გამგეობა წარმოადგენს ორგანიზაციას (ფედერაციას) სახელმწიფოსთან ან სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში. კანონი გამგეობას არ უწესებს რაიმე შეზღუდვებს, ამიტომ წესდებაში შეიძლება განისაზღვროს გამგეობის არჩევის, წევრთა რაოდენობის, სპორტის სპეციფიკიდან გამომდინარე რაიმე მისაღები წესი. და ა.შ.

კავშირის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელსაც ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოიწვევს გამგეობა. საერთო კრება მოიწვევა თუ ორგანიზაციის ერთი მეათედი მაინც წარუდგენს გამგეობას წერილობით მოთხოვნას კრების დღის წესრიგის დართვით. კრება გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც წესდებით გამგეობის კომპეტენციას არ განეკუთვნება. კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, წესდების შეცვლისათვის ორი მესამედის უმრავლესობით, ხოლო თუ საკითხი ეხება კავშირის მიზნის შეცვლას — ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედის უმრავლესობით **(სამოქ. კოდ. მუხ.41).** კანონი წევრთა მიერ საერთო კრებაზე წერილობით გაგზავნილ ხმებს უთანაბრებს კრებაზე დამსწრეთა ხმებს. ხელახალი რეგისტრაცია არ გულისხმობს ძველის გაუქმების გზით ახალი ორგანიზაციის დაფუძნებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, წესდების მოდიფიცაცია ანუ ახალი რედაქციაა საჭირო. ამავე დროს აუცილებელია ორგანიზაციამ ხელახალი რეგისტრაციისათვის პროცედურა არსებული წესდების მოთხოვნათა მიხედვით წარმართოს. ე.ი. იმ წესით, რა წესითაც წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება.

სამოქალაქო კოდექსით ფონდისა და კავშირის წესდებისათვის გათვალისწინებულია ერთი და იგივე მოთხოვნები. წესდება უნდა შეიცავდეს: საქმიანობის მიზნებს;

— სახელწოდებას;

— ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);

— ქონების ლიკვიდაციისა და განწილების წესს;

— კავშირის (ან ფონდის) დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესებს:

— კავშირის წევრთა უფლებამოსილებას:

სპორტის სპეციფიკიდან გამომდინარე წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა მონაცემებსაც.

საერთო კრება, აგრეთვე სხვა საჭირო ცვლილებებით, დამტკიცებს ახალი რედაქციის წესდებას, რომელიც აუცილებლად სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული.

ხელახალი რეგისტრაციისათვის ორგანიზაცია მარეგისტრირებელ ორგანოში (სასამართლოში) წარადგენს განცხადებას და წესდების ახალ რედაქციას. რეგისტრაციისათვის წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს ნებას ორგანიზაციის რეგისტრაციაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს გამგეობის ყველა წევრის მიერ.

სავალდებულო ხელახალი რეგისტრაციისათვის არასამეწარმეო იურიდიული პირი იხდის რეგისტრაციისათვის დადგენილი მოსაკრებლის 25 %-ს.

25 აპრილს იპოდრომზე 16.00 – საათზე

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია ქ. თბილისის სპორტის სამმართველო და პოლიტიკური პარტია «სპორტული საქართველო» აწყობენ რბენის მოყვარულთა პირად პირველობას ქროსში.

ხუთ ასაკობრივ ჯგუფში, 35–39, 40–49, 50–59, 60–69. აგრეთვე 70 წელს ზევით ვეტერან ქალებსა და ქალებს შორის.

მსურველებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სამედიცინო შემოწმება, მათ უნდა წარმოადგინონ დაბადების დამადასტურებელი საბუთი და შეავსონ სპეციალური ანკეტა, მიიღონ სამკერდე ნიშანი — 24 აპრილამდე.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. 140 ა, დიდუბის რაიონის გამგეობის შენობა (მე-2 სართული, 219-ე ოთახი), ტელეფონი — 95-95-93.

ახალი ამბები სფფ-დან

(პირველი გვერდიდან)

ბაზე ჯარიმას — 300 ათას შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდის. ინტერესი ამ შეჯიბრებისადმი, როგორც ჩანს, ძალიან გაიზარდა, რადგან 13 ქვეყანა რიგში დგას, რათა ადგილი შეავსოს თუ ვინმე უარს განაცხადებს მონაწილეობაზე, ზოგიერთ ქვეყანას ორი გუნდითაც სურს მონაწილეობა. საქართველოდან რამდენიმე გუნდს აქვს გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ ყველაფერი გადაწყდება მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონთა თასზე და უეფას თასზე მონაწილეთა ვინაობა გაირკვევა.

ან კრნანისი ან...

ან სასაზღვრო ჯარების სასტუმრო, რომლის 50 ადგილს მთლიანად დაუთმობს ადმინისტრაცია ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უკრაინის ნაკრებთან მატჩის წინა რვადღიანი შეკრებისათვის. მაგრამ ეს სასტუმრო სათადარიგოა, სფფ და ნაკრების ხელმძღვანელობა ზემდგომ ინსტანციებში ითხოვენ ჩვენს გუნდს ეს 8 დღე კრწანისის სამთავრობო აგარაკზე დაუთმონ.

გუცაევი ლეგიონერების თამაშს დაესწრება

გუშინ სფფ-ში გადაწყდა, რომ ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი 4-8 მარტს ეწვევა გერმანიას, ბელგიას და ჰოლანდიას, სადაც ის დაესწრება იმ კლუბების მატჩებს, რომლებშიაც გამოდიან ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრი ლეგიონერები. შემდეგ გუცაევი გაემგზავრება შვეიცარიაში „გრასჰოპერსისა" და „ციურიხის" მატჩზე დასასწრებად, აქ იგი ერთდროულად, ერთ მატჩში შეამოწმებს ჩვენი ორი ლეგიონერის ყველაშვილისა („გრასჰოპერსი") და ჯამარაულის („ციურიხი") შესაძლებლობებს.

ფრანგები თბილისში ჩამოვლენ

სფფ-ს თითქმის ყოველდღიური კავშირი აქვს იმ ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებთან, რომლებიც „ეურო-200"-ის გათამაშებაში მონაწილეობენ. გუშინ ფრანგები შეეხმიანენ ჩვენს ფედერაციას და აცნობეს, რომ დიდი სურვილი აქვთ ეწვიონ თბილისს და დაესწრონ საქართველო-უკრაინის ამხანაგურ მატჩს. მიზანი გასაგებია — ფრანგებს ხომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვთ გასამართი უკრაინელებთან, აქვე ვიტყვით, რომ უკრაინელები ჩარტერული რეისით 19 მარტს ჩამოდიან თბილისში.

საქართველო ინვევს ჯგუფურ ტურნირს, მაგრამ...

16-წლიანთა, ევროპის შესარჩევი ტურნირის წილისყრა, როგორც ვიუწყებოდით, ჩატარდა, მაგრამ ჯერ დაუდგენელია ქვეყანა, რომელიც ჯგუფურ ტურნირს უმასპინძლებს. სფფ-მ მოითხოვა ჩვენი ჯგუფის მატჩები საქართველოში გაიმართოს, რაზედაც ჩვენი მეტოქეები თავს იკავებენ და თავაზიანად გვითვლიან, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, წინა პლანზე მაინც ფინანსური საკითხი დგას — საქართველოში ჩამოსვლა ძვირი ჯდება, ევროპაში კი მონაწილე გუნდები ავტობუსებითაც გადადიან ქვეყნიდან ქვეყანაში.

ფარიკაობა **თბილისის დიპ ჩემპიონატი**

და მაინც...

თუ გული გულობს, მოფარიკავეთა მომზადება თშრმე სასტუმროს ჰოლშიც შეიძლება

საშეჯიბრო ვაკუუმში აღმოჩენილ ახალგაზრდა მოფარიკავეთათვის, რაც, საერთოდ ჩვენი სპორტის ფინანსური სიმწირითაა განპირობებული, პირდაპირ მისწრება იყო ეს ასპარეზობა. ისევ და ისევ ქალაქის მერიის სპორტის სამმართველომ გამოიღო ხელი, გამონახა რადაც საშუალებები და კიდევ ერთი შეჯიბრება დააფინანსა.

უნდა გენახათ ასპარეზობას მოწყურებული გოგო-ბიჭები როგორი შემართებითა და ტემპერამენტით იბრძოდნენ გაყინული ფარიკაობის დარბაზის ბილიკებზე, ვითომ არაფერიაო.

და კიდევ, შეჯიბრების სტატუსი — საქალაქო სასიამოვნოდ „დაარღივეს" გაგრელმა ლტოლვილმა სპორტსმენებმა. მათ დევნილობაშიც არ შეუწყვეტიათ მეცადინეობა იქაური ცნობილი სპეციალისტ ქალბატონ ირინე ჯოლოგუას ხელმძღვანელობით, რომელმაც მრავალი წლის წინათ, ჯერ კიდევ აფხაზეთის მიწაზე მშვიდობა რომ იყო, ამ საკურორტო ქალაქში შექმნა ფარიკაობის საუკეთესო სკოლა. სხვათა შორის, ალბათ ბევრმა არ იცის, რომ იქ აღზრდილი შესანიშნავი ფეხბურთელი გიორგი სიჭინავა, საქართველოს ჩემპიონია მოსწავლეთა შორის... ფარიკაობაში! ჰოდა, ქალბატონ ირინას უსაქმოდ რა გააჩერებდა — სასტუმრო „აჭარაში" მცხოვრებ ლტოლვილ მოზარდთაგან შექმნა ფარიკაობის ჯგუფი, რომელსაც ქალაქის ბაზებზე გადაადგილებისათვის თანხების უქონლობის გამო იქვე, სასტუმროს ჰოლში ავარჯიშებს. იქ ისე კარგად მომზადებულან გაგრელები, რომ საქალაქო ჩემპიონატშიც არ ყოფილან ჯაბანნი. ი. ჯოლოგუამ 9 მონაწილე გამოიყვანა, რომელთაგან ხმლით მოფარიკავე ბექა ბექაურმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მისი ფინალური ბრძოლა თანამოგვარე ზვიადთან დასამახსოვრებელი გახლდათ. საინტერესო შეხვედრებთაგან რაპირისტ გოგონათა ნატო კობიაშვილისა და ქრისტინე მერმანიშვილის ფინალური ორთაბრძოლასაც გამოჰყოფენ სპეციალისტები. რომელიც დამთავრდა (10:2) პირველის გამარჯვებით.



ალექსანდრე ტოქმაკოვი, შეიტანდრე ტოქმაკოვი

კვარცხლბეკი. *დაშნა, გოგონები:* 1. ნათია სააკაშვილი, 2. სალომე დიდია, 3. ნინო იმნაძე (სამივე — „მართვე"), *ვაჟები:* 1. ლაშა სოფრომაძე, 2. ირაკლი მაჩაიძე, 3. ალექსანდრე ჩაჩანიძე (სამივე — „მართვე"), რაპირა. *გოგონები:* 1. ნატო კობიაშვილი („მართვე"), 2. ქრისტინე მერმანიშვილი, 3. რუსუდან მაჩიტაძე (ორივე — „შევარდენი"). *ვაჟები:* 1. თემურ ბელოევი, 2. აკაკი მაჩაიძე, 3. კახა ქემოკლიძე (ყველა — „მართვე"), ხმალი — 1. ზვიად ბექაური, 2. ბექა ბექაური, 3. დათო მთვარელიძე (სამივე — „მართვე").

უშანგ ჯიჯინაძე

ბრილიანტი ირანიდან

ქართველ მოფარიკავეთა წარმატებებს დანატრებულებს ირანიდან გუშინ მიღებული ეს ცნობა იმის ნაპერწკალს უღვივებს, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენში ჯერ ისევ ინარჩუნებს თაობათა მემკვიდრეობითობას. ასეთ იმედს იძლევა ის წარმატება, რომელიც ირანში იუნიორთა ავტორიტეტულ საერთაშორისო ტურნირში მოიპოვა თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სკოლის (დირექტორი ლუდვიგ ღაღანიძე) აღზრდილმა სერგო ხატიაშვილმა. ეს მოფარიკავე ტურნირზე საკუთარი ხარჯებით გაემგზავრა და შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდება, რომელიც მან 50 უძლიერეს თანატოლთან მოიგო დაშნით ფარიკაობაში.

მსაჯი ბოდიშს იხდის

ფეხბურთში მსაჯთა მომზადების სემინარების პროცესში სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის უფროსთან და ამ სემინარების ხელმძღვანელთან ბატონ ანატოლი მილჩენკოსთან მომიხდა ინციდენტი, რის გამოც თავს დამნაშავედ ვგრძნობ, ვინანიებ შეცდომას და ბოდიშს ვუხდი პირადად ბატონ ანატოლი მილჩენკოს, ქართველ მსაჯთა იმ ჯგუფს, რომელთა თანდასწრებით მოხდა ეს ინციდენტი და სფფ-ს მსაჯთა კომიტეტს.

ვახტანგ ჩოჩიშვილი,
ეროვნული კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში

... კევინ კიგანი, ოლონდ, დროებით

გადაწყდა, რომ ინგლისის ეროვნულ გუნდს კევინ კიგანი უთავკაცებს. მაგრამ ისიც ჰოვარდ უილკინსონის მსგავსად ალბიონელთა დროებითი მწვრთნელი იქნება. ოღონდ, თუ უილკინსონმა მხოლოდ ერთ მატჩში (ისიც ამხანაგურში) უთავკაცა ნაკრებს, კიგანს ივნისამდე ექნება გარანტირებული ასეთი პატივი. მისი ხელმძღვანელობით ინგლისის ეროვნულ გუნდს „ევრო-2000-ს" შესარჩევი ციკლის სამი მატჩის ჩატარება მოუწევს.

48 წლის კევინ კიგანი „ლივერპულში"" „გაიხსნა" როგორც ვარსკვლავი, ხოლო ყველაზე წარმატებული პერიოდი ბუნდესლიგის „ჰამბურგში" განვლო, როცა ორჯერ დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად (1978 და 1979 წლებში). 1982 წელს ის საშობლოში დაბრუნდა და მეორე დივიზიონის „ნიუკასლში" ჩაირიცხა. მისი შემწეობით ეს გუნდი პირველ დივიზიონში გადავიდა, ხოლო 1984 წელს კევინ კიგანმა ბუცების კედელზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. „ნიუკასლს" კი ათი წლის შემდეგ დაუბრუნდა, როგორც მწვრთნელი და სწორედ კიგანის დიდი ძალისხმევის შედეგად შედგა იმ დროისათვის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი — ალან შირერში „ნიუკასლმა" 24,4 მილიონი დოლარი ჩაუთვალა „ბლეკბერნს". 1997 წლის 8 იანვარს „ნიუკასლის" ხელმძღვანელობასთან შეკამათების გამო კიგანმა დატოვა ეს კლუბი, ხოლო იმავე წლის სექტემბრიდან პირველი დივიზიონის „ფულემს" ჩაუდგა სათავეში.

კევინ კიგანი

რაც შეეხება კევინ კიგანის გამოსვლას ეროვნულ გუნდში, აქ მან 63 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 22 გოლი, 31 მატჩში კი კაპიტნობდა ინგლისის ნაკრებს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ, 1982 წელს იასპარეზა.

დათო თავართქილაძე

ხვალ – ლიხს იქით და ლიხს აქეთ

ჩვენი საკლუბო ფეხბურთის ქომაგთ ხვალ მართლაც და მეტად საინტერესო დღე ელით — საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩებით სეზონი განახლდება. ქუთაისის „ტორპედოსა" და რუსთავის „გორდას" შეხვედრაში აშკარა ფავორიტებად, რა თქმა უნდა, რიონისპირელები ითვლებიან. დედაქალაქურ „ვიტ-ჯორჯიასა" და წყალტუბოს „სამგურალის" მატჩი შედარებით ძნელად პროგნოზირებადია, თუმცა, მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში უკეთესი შანსები ალბათ მასპინძლებს ექნებათ. საინტერესო და მეტად შეუპოვარი ბრძოლის მოწმენი უნდა გავხდეთ „არსენალი" — „მერანის" შეხვედრაში, რადგან ამ თბილისურ დერბიში მეტნაკლებად თანაბარი სიძლიერის გუნდები იპაექრებენ.

ცენტრალური კი უდავოდ თბილისის „ლოკომოტივის" და ბათუმის „დინამოს" მატჩია — თასის შარშანდელი მფლობელი, სტაბილურობით განთქმული, „სათასო გუნდად" შერაცხული ზღვისპირელები ხომ X ეროვნულ ჩემპიონატში აღზევებულ რკინიგზელთა გუნდს ეწვევიან.



...თემურ მახარაძისა და ზოთა ჭეიშვილის საფეხბურთო დელიც ალბათ, ერთ რაღად უნდა ღირდეს.

ბირპოფი ურჩევს შევჩენკოს

კიევის „დინამო", „მილანის" დამარცხების შემდეგ ამხანაგურ მატჩში შეხვდა იტალიის მეორე დივიზიონის კლუბ „მონცას" და მატჩი ფრედ დაასრულა — 1-1. კიეველთაგან გოლი გაიტანა კახი კალაძემ, რომელმაც წინა დღით გადამწყვეტი ბურთი მოათავსა მილანის კარში. ანდრეი შევჩენკო, რომელიც მალე „მილანში" გადავა, მინდორზე მატჩის მეორე ნახევარში გამოვიდა.

შევჩენკოს თამაშს დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ „მილანის" ფეხბურთელები. აი, რა განაცხადა გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა: „ეჭვგარეშეა ანდრეი მეტისმეტად ნიჭიერი ფეხბურთელია. მაგრამ მას ტაქტიკური თვალსაზრისით სრულყოფა სჭირდება. ჩვენს მწვრთნელ ალკორონის მაინცადამაინც არ უყვარს ბურთს „მთრეველები", შევჩენკოს ასეთი ტენდენცია შევამჩნიე. შესაძლოა, დრიბლინგთ მაყურებლის მოხიბვლა სურდა, მაგრამ „მილანში" ეს უნდა დაივიწყოს.

აბონემენტები — ფასი ხელმისაწვდომი, კომფორტი — უმაღლესი! გრძელდება იმ საფეხბურთო აბონემენტების რეალიზაცია, რომელიც სფფ-მ „ევრო-2000"-ის შესარჩევი ტურნირის მატჩებისთვის და საქართველო — უკრაინის ნაკრები გუნდების შეხვედრისთვის დაბეჭდა. ხუთ მატჩზე დასწრება გულშემატკივარს დაუჯდება 50 ლარი, ფასი უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რამდენი პუნქტით გაუფასურდება ჩვენი ეროვნული ვალუტა დოლარიან შეფარდებაში. აბონემენტების რეალიზაციას ახდენენ უშუალოდ სფფ-ში (ჭავჭავაძის, 49ª); მიიღება ჯგუფური შეკვეთები ფაქსით.

ამ დღეებში სპორტის სახელმწიფო ფონდი „ტოტო-ლოტოს" 160-მდე ჯიხურების მეშვეობით დაიწყებს აბონემენტების რეალიზაციას.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ორი პრეტენდენტი

საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

20 დეკემბრიდან საფრანგეთში სამკვირიანი საზამთრო შესვენება იყო. ეს პაუზა ქვეყნის ჩემპიონატს ორ ნაწილად ჰყოფს. წლევანდელი პირველობის ერთი თავისებურებაა ჩემპიონ „ლანსის“ დიდი მარცხი (თუმცა ეს ერთგვარად მოსალოდნელიც იყო), მდიდარი კლუბის, „პარი სენ-ჟერმენის“ სრულიად უფერული თამაში, და განსაკუთრებით ის, რომ უკვე კარგა ხანია გამოიკვეთა ჩემპიონობის ორად ორი პრეტენდენტი: „ბორდო“ და მარსელის „ოლიმპიკი“. დანარჩენ გუნდებს ამ წყვილთან ბრძოლის რეალური შესაძლებლობა უკვე აღარ აქვს.

XXI ტურის შემდეგ მარსელის „ოლიმპიკს“ 48 ქულა ჰქონდა და სამი ქულით უსწრებდა მეტოქეს. ისინი უკვე ბორდოში ხვდებოდნენ ერთმანეთს. საინტერესო იყო ვინ უფრო გამოიჩენდა თავს: მასპინძელთა თავდამსხმელები ვილტორი და ლასლანდი, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში დიდი წარმატებით გამოდიან, თუ მარსელელთა კვარტეტი მორისის, პირესის, მსოფლიო ჩემპიონ დიუგარისა და იტალიელ რავანელის შემადგენლობით, რომელიც არაერთი წინადადების მიუხედავად, მაინც აქამდე შემორჩა „ოლიმპიკს“. მოლოდინის მიუხედავად, მარსელელებმა უმეტოდ დათმეს ეს შეხვედრა. უკვე პირველ ტაიმში ანგარიში იყო 4-0. გოლები გაიტანეს ვილტორმა (2), მიკუმ და ლასლანდმა. თამაშის მეორე ნახევარში დიუგარმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო და გუნდს მძიმე დამარცხება თავიდან ვერ ააცილა.

„მონაკო“ – „ლიონი“. პინიოლი (მარჯვნივ) და ბრასილა

ამის შემდეგ „ბორდო“ ქულებით დაეწია მეტოქეს, ბურთების უკეთესი სხვაობით კი გათამაშების ცხრილის სათავეშიც მოექცა.

ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ერთი ტური გაგრძელდა. უკვე მომდევნო შეხვედრებმა „ოლიმპიკი“ ცხრილის სათავეში დააბრუნა. მან საკუთარ მინდორზე მოუგო 3-1 შეუპოვარ „ბასტიას“ (თავი გამოიჩინეს ისამ, ორჯერ – რავანელიმ და ლორანმა კორსიკელთა მხრიდან). ამასობაში „ბორდო“ სტუმრად, ვილტორის გოლის წყალობით, იგებდა, მაგრამ „რენის“ თავდამსხმელმა ვაისერმა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში.

ესეც „ერთტურიანი ეპოპეა“ აღმოჩნდა. 13 თებერვალს XXIV ტურში „ოლიმპიკი“ სტუმრად დამარცხდა 0-1 „ტულუზასთან“, რომელსაც მეორე დივიზიონში გადასვლა ემუქრება, „ბორდომ“ კი მოუგო „ბასტიას“ 3-1 და 52 ქულით ისევ დაიბრუნა პირველი ადგილი, ქულით გაუსწრო კონკურენტს. აიწონა-დაიწონაც ამას ჰქვია.

ამის შემდეგ, 26 თებერვლამდე, ჩემპიონატზე ორკვირიანი შესვენება გამოცხადდა.

ერთი სიტყვით, სავსებით ცხადია, ჩემპიონი ან მარსელის „ოლიმპიკი“ გახდება, ან „ბორდო“. ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტი, უბრალოდ, არა ჩანს. „ოლიმპიკის“ ეს წარმატებები, რა თქმა უნდა, მოსალოდნელიც იყო – ეს კლუბი „მონაკოსა“ და „პარი სენ-ჟერმენთან“ ერთად საფრანგეთში უმდიდრესთა სამეულს მიეკუთვნება. მარსელის გუნდი ყველა რგოლში კარგად არის დაკომპლექტებული და საკმაოდ გრძელი „სკამიც“ აქვს. რაც შეეხება „ბორდოს“, ანუ, სხვანაირად, „ჟირონდას“ მისი ფინანსური შესაძლებლობები უფრო მოკრძალებულია. ამის მიუხედავად, აქვიტანიის კლუბმა მაინც შეძლო შემადგენლობაში სუსტი ადგილების შევსება: შეიძინა ესპანელი მცველი ტორეს მესტრესი და გამთამაშებელი ალი ბენარბია. ორივე ეს ოსტატი საკმაოდ მალე შეეთვისა კოლექტივს.

სხვა გუნდებშიც არაერთი საყურადღებო ამბავი მოხდა. „სოშომ“ პირველივე მარცხის შემდეგ გადაწყვიტა ბოსნიელ მწვრთნელ ფარუკ ჰაჯიბეგიჩის განთავისუფლება, რომელიც ფილიპ ანზიანით შეცვალა. „ბასტიამ“ გაანთავისუფლა პოლონელი სპეციალისტი ჰენრიკ კასპერჩაკი, რომელიც ფრანგული ფეხბურთის სამყაროში „შინაურ კაცად“ ითვლება, მაგრამ მთლად არ აიღო მასზე ხელი და გენერალური მენეჯერის პოსტზე გადაიყვანა. მეტად სტაბილურად თამაშობს „რენი“, რომელსაც ამ სეზონამდე არა ჰქონია რაიმე თვალსაჩინო წარმატება. აქ გამოირჩევიან ამ სეზონში შეძენილი ფორვარდები სედრიკ ბარდონი (რომელიც „ლიონიდან“ გადმოვიდა), ეგზოტიკური ბურუნდელი შაბანი ნონდა (შეიძინეს „ციურიხიდან“). აგრეთვე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ნახევარმცველი ედუარდ სისე, რომელსაც რატომღაც შეელია „პარი სენ-ჟერმენი“. რაც შეეხება პარიზულ კლუბს, აქ კვლავინდებურად მძიმე მდგომარეობაა. თუ ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში „პსჟ“-მ მკვეთრად არ გააუმჯობესა თამაში, ძალზე საეჭვოა მისი „უეფას ზონაში“ მოხვედრა. ამ მხრივ ჯერჯერობით „ლიონს“, „ნანტს“, „რენსა“ და „მონაკოს“ შორისაა ბრძოლა.

ჯესეჯა – „ტულუზა“, „ბორდოს“ (მარჯვნივ) და მეფენლის ბრძოლა ბურთისათვის

ლიდერების უახლოესი მატჩებია: 26 თებერვალს „ბორდოს“ მეტად სერიოზული გასვლითი მატჩი ელის „ნანტთან“, რომელსაც თვითონ აქვს საპრიზო ადგილის, ის პრეტენზიები 10 მარტს კი ლიდერი ერთ-ერთ აუტსაიდერს „ნანსის“ მიიღებს. „ოლიმპიკი“ (მარსელი) ამავე რიცხვებში ჯერ ასევე სახიფათო ზონასთან ახლოს მყოფ „სტრასბურს“ მიიღებს, შემდეგ კი სტუმრად ბოლო ადგილზე განლაგებულ „სოშოს“ ეთამაშება. ამიერიდან ქვეყნის ჩემპიონატში რამდენიმე მცირე პაუზაა სათასო მატჩების ჩასატარებლად.

ზოგი რამ იმ კლუბების შესახებ, რომლებსაც უმაღლესი დივიზიონის დატოვება ემუქრებათ, ჯერჯერობით ყველაზე მძიმე მდგომარეობა „სოშოს“ აქვს. მას ადმინისტრაციული ცვლილებები ვერაფერს შველის. სახიფათო ზონაში ან მის სიახლოვეს არიან „ლორიანი“, „ტულუზა“, „ჰავრი“, „ნანსი“, და „სტრასბური“.

საფრანგეთის ჩემპიონატი 22 მაისამდე გრძელდება. წინ ხანგრძლივი ბრძოლაა.

გივი თორელი

არიგო საკის გამოსათხოვარი

53 წლის არიგო საკიმ საქვეყნოდ განაცხადა, რომ აღარ უთავკაცებს მადრიდის „ატლეტიკოს“, თავს ანებებს მწვრთნელობას და საერთოდ ფეხბურთს. „დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია“ – ასე გოდებდა საკი ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მადრიდში...

არიგო საკი

დიდ მწვრთნელ არიგოს დიდი ფეხბურთი არ უთამაშია. მწვრთნელის კარიერა კი 1972 წელს დაიწყო, როცა მშობლიური ქალაქის ფუზიანანოს გუნდი ჩაიბარა. შემდეგ, რამდენიმე წელი ასევე პროვინციულ „ჩეზენაში“ მოღვაწეობდა. 1982 წელს სერია-C-ში მოასპარეზე „რომინი“ ჩაიბარა, ერთი წლის მერე „ფიორენტინას“ ახალგაზრდული გუნდის გაწვრთნა ანდეს. მაგრამ საკის ნაღდი საქმის კეთება სწყოროდა და კვლავ სერია C-ს მიაშურა, ოღონდ ამჯერად ამბიციურ კლუბ „პარმაში“. სწორედ აქ მიაღწია საკიმ პირველ წარმატებებს – გუნდი მყისვე სერია B-ში გადაიყვანა, ხოლო 1986 წელს, იტალიის თასის გათამაშებაში „პარმამ“ თვით სახელოვანი „მილანი“ ჩამოიცილა გზიდან. „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი მატჩიდან მეორე დღიდანვე შეუდგა არიგო საკის გადმობირებას, რომელსაც უკვე სერია-A-ს რამდენიმე ამბიციური კლუბი ეპატიჟებოდა. მაგრამ ყოველისშემძლე ბერლუსკონის აბა ვინ შეეცილებოდა და საკიც 1987 წლის ზაფხულიდან „მილანს“ ჩაუდგა სათავეში. მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა – გუნდმა იტალიის 1987-88 წლების ჩემპიონატში გაიმარჯვა. მომდევნო წელიწადს ევროპის ჩემპიონთა თასი, სუპერთასი, იტალიის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა. არც 1990 წელი გამოდგა უიღბლო საკისთვის – „მილანი“ არიგოს თავკაცობით ზედიზედ მეორედ დაეუფლა ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასს. მოკლედ, საკიმ საკლუბო დონეზე ყველაფერს მიაღწია, თანაც რამდენიმეჯერ და უძნელესი გამოცდის ჩაბარების დროც დაუდგა – მას იტალიის ეროვნული გუნდი გადაულოცეს. „სკუადრა აძურამ“ კი საკის ხელში ევრო-92-ის შესარჩევ ციკლში მეტად უსუსურად იასპარეზა, რადგან დამარცხდა სტუმრად ნორვეგიელებთან (1-2). შინ კი მათთან ფრედ (1-1) ითამაშა, საბჭოთა კავშირთანაც ვერ შეძლო გამარჯვება (ორივეჯერ ფრე 0-0), საბოლოოდ საკის იტალიამ ჯგუფში II ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში საბჭოელებს დაანება. მაგრამ საკის ყოველივე ეს „შერჩა“, რადგან გუნდი მაშინ ჩაიბარა, როცა ციკლი დაწყებული იყო და სამი თამაშიდან იტალიელებს მხოლოდ ერთი ჰქონდათ მოგებული.

არიგომ პრესის, გულშემატკივრების შემოტევას ადვილად გაუძლო და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის შეუდგა მზადებას. იტალიამ ამჯერად წარმატებით ჩაამთავრა შესარჩევი ციკლი, ხოლო ფინალურ ეტაპზე აშშ-ი ვერცხლის მედლებს დასჯერდა, საკის მისამართით როგორც იქნა ტკბილი სიტყვები გაიმეტეს, მაგრამ წარმატების მთავარ შემოქმედად, რაღა თქმა უნდა, რობერტო ბაჯო აღიარეს.

... მწვრთნელის შენიღბული შუღლი გუნდის „პირველი ვიოლინოს“ მიმართ დღეს ახალი ხილი აღარაა. ამის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მაინც ძნელად დასაჯერებელია, რომ სწორედ ამის გამო არ იხმო საკიმ რობერტო ბაჯო ევრო-96-ის ფინალურ ეტაპზე ინგლისში, მაგრამ განა მარტო ბაჯო? ჯანლუკა ვიალიმ 1995-1996 სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა „იუვენტუსში“, ხოლო ჩემპიონატთა ლიგის ფინალურ მატჩში („იუვენტუსი“ – „აიაქსი“ 1-1, პენალტით 4-2) მართლაც რომ შეუდარებელი იყო. საკის კი ალბიონზე ცოდვებმა უწია. პირველ მატჩში რუსეთთან მსაჯის შეცდომებმა დიდად განაპირობა იტალიელთა გამარჯვება. მეორე შეხვედრაში ჩეხებთან კი არიგომ უპრეცედენტო, ქედმაღლური გადაწყვეტილება მიიღო – გუნდის ერთბაშად ხუთი წამყვანი მოთამაშე სათადარიგოთა სკამზე დასვა და იტალიაც დამარცხდა 1-2 (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აპენინელებს აპოლონი გაუძევეს და კაცნაკლულნი თამაშობდნენ). მაგრამ იტალიას კიდევ რჩებოდა მეოთხედფინალში გასვლის შანსი, რისთვისაც გერმანიის ეროვნული გუნდისთვის უნდა მოეგო. საკის იტალია მთელი 90 წუთის განმავლობაში დომინირებდა მინდორზე, ევროპის მომავალი ჩემპიონი გერმანია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდა, მათი მეკარე ანდრეას კეპკე სასწაულებს სჩადიოდა (ძოლას 11-მეტრიანიც აუღო) და იტალიამაც ნაადრევად დაასრულა ევროპის მე-8 ჩემპიონატი (შეხვედრა 0-0 დასრულდა). არიგო საკი კი სამშობლოში ნომერ პირველ ანტიპერსონად იქცა. მაგრამ იტალიის ფეხბურთის მესვეურები ნდობას უცხადებდნენ მას, თუმცა პერუჯაში ჩვენს ეროვნულ გუნდთან მატჩის შემდეგ, საკიმ, როგორც იქნა ხელი აიღო ნაკრებში მუშაობაზე და ესტაფეტა ჩეზარე მალდინის გადაულოცა. იმავე წელს (1996) საკი პარალელურად „მილანის“ თავკაციც იყო, მაგრამ ამჯერად სილვიო ბერლუსკონის გუნდს ტროფეები ვერ მოაპოვებინა და 1997 წლიდან მადრიდის „ატლეტიკო“ ჩაიბარა. მადრიდელთა პრეზიდენტ ხესუს ხილს კი ძალიან რთული, სკანდალური და შეიძლება ითქვას აუტანელი ხასიათი აქვს, რომელსაც თვით არიგო საკის რკინის ნერვებმაც ვერ გაუძლო...

უდავოდ ნიჭიერმა, მაგრამ ჯიუტმა ზედმეტად პრინციპულმა არიგო საკიმ კი ამასობაში საფეხბურთო სამყაროს ხელი დაუქნია.

დათო თავართქილაძე

ახალი ქონგრაჯები ზემანთან

„რომას“ დირექტორატმა 2000 წლის ზაფხულამდე გააფორმა ახალი ხელშეკრულება ჩეხ სპეციალისტ ზდენეკ ზემანთან. მართალია, ამის მოწინააღმდეგეც ბევრი იყო. მიუთითებდნენ, რომ „რომა“ ხანდახან ეფექტურად კი თამაშობს თავდასხმაში, მაგრამ ძალზე სუსტია დაცვით ხაზებში. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ბოლო ტურებში. საინტერესოა, რომ „რომა“ სუსტად თამაშობს აუტსაიდერებთან.

ასეა თუ ისე „რომა“ უეფას თასზე მოხვედრისათვის იბრძვის და კლუბის მესვეურებმაც გადაწყვიტეს ზემანს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლინების საშუალება მისცენ.

პაჯიბეგიჩი – ბოსნიელთა ახალი მწვრთნელი

ახლო წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი ფარუკ ჰაჯიბეგიჩი დაინიშნა ბოსნიის ნაკრების ახალ მწვრთნელად. ბოსნიის ნაკრები უკვე 7 წელია არსებობს, ჰაჯიბეგიჩი კი მისი მესამე ხელმძღვანელია. სწორედ მას მიანიჭეს უპირატესობა ისეთ სპეციალისტებთან შედარებით, როგორიც არიან ენვერ მარიჩი, ივიცა ოსიმი, დუშან ბაჯევიჩი და საფეტ სუშიჩი.

ჰაჯიბეგიჩი თითქმის 20 წლის განმავლობაში თამაშობდა ფეხბურთს, გამოდიოდა ესპანეთისა და საფრანგეთის კლუბებში. მან 65 მატჩი ჩაატარა იუგოსლავიის ნაკრებში. ბოლო ხანებში წვრთნიდა საფრანგეთის კლუბ „სოშოს“.

პრი პაანი საბერძნეთში შეუპოვრა

ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი არი ჰაანი კვლავ ჩაუდგა სათავეში სალონიკის პაოკ-ს, რომელსაც იგი ადრეც, 1994 წელს წვრთნიდა. მწვრთნელი თვეში 21 ათას დოლარს მიიღებს. „გუნდის გულშემატკივრებს საზეიმოდ ვპირდები, რა აგრესიულ და თანამედროვე ფეხბურთს ვითამაშებთ.“ ახლა პაოკ-ი საბერძნეთის პირველობაზე მეოთხე ადგილზეა, ლიდერს „ოლიმპიაკოსს“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

«მანჩესტერი» — «არსენალი»

«ინტერი» — «პარმა». ვინტერისა(მარცხნივ) და ვერონის დუელი

ინგლისი
გადადებული მატჩები

ასტონ ვილა — ლიდსი 1-2, ჩელსი — ბლექბერნი 1-1, ევერტონი — მიდლსბრო 5-0, მანჩესტერ — არსენალი 1-1, ნიუკასლი — ქოვენთრი 4-1.

ჰოლანდია
გადადებული მატჩები

ჰერენვენი — აიაქსი 2-2, ნაიმენგენი — ტილბურგი 0-3, ვალვაიკი — სიტარდი 0-3. ვიტესი — ბრედა 3-1;

ესპანეთი
თასის 1/4-ის პირველი მატჩები

რასინგი — რეალი 2-6, მალიორკა — დეპორტივო 1-1, ატლეტიკო — ესპანიოლი 2-1.

იტალია
თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი. ინტერი — პარმა 0 — 2.

დუმიტრესკუმ დაამთავრა კარიერა

როგორც რუმინულმა კლუბმა „სტიაუამ“ გამოაცხადა, ილიე დუმიტრესკუ ამიერიდან ტოვებს დიდ ფეხბურთს. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დუმიტრესკუ, არგენტინელთა კარში ორი გოლის გატანის შემდეგ ეროვნული გმირი გახდა. ბოლო ხანებში თავდამსხმელმა, რომელსაც ძალიან უყვარს სპორტული ავტომობილები და იტალიური მოდური ტანსაცმელი, დაკარგა საბრძოლო თვისებები, გარდა ამისა, იგი არაერთხელ დაშავდა. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა ტუნისელებთან, მატჩი ფრედ დასრულდა.

ამ 10 წლის განმავლობაში დუმიტრესკუმ ნაკრებში 58 მტჩი ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა.

ბოშკოვი უყვართ იტალიაში

ამ დღეებში „პერუჯაში“ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. ილარიო კასტენიერის ნაცვლად, რომლის აზრითაც „პერუჯას“ მესვეური ლუჩანო გაუჩი ძალიან ხშირად ესხმოდა თავს მწვრთნელებს, მოწვეულია 67 წლის იუგოსლავიელი სპეციალისტი ვუიადინ ბოშკოვი. აი, რა განაცხადა მან: „გუნდის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება.“

ბოშკოვი საერთოდ უყვართ იტალიაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1991 წელს გენუის „სამპდორიამ“ მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს იყო ერთადერთი „სკუდეტო“ ამ კლუბის მთელი ისტორიის მანძილზე.

საინტერესოა, რომ „პერუჯამ“ მოიგო პირველივე მატჩი ბოშკოვის ხელმძღვანელობით „სერია A-ში“ და თანაც მილანის „ინტერთან“ — 2-1.

ლეგიონერთა რიცხვი განუსაზღვრელია

როგორც რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეს-ცენტრის ცნობაშია ნათქვამი, ქვეყნის 1999 წლის ჩემპიონატში უმაღლეს დივიზიონში 16 კლუბი ითამაშებს, პირველში — 22, შემდეგ კი პირველ დივიზიონში გუნდების რაოდენობა წლების განმავლობაში თანდათანობით შემცირდება და საბოლოოდ 18 გახდება.

კავშირის აღმასკომმა იმსჯელა პირველ და მეორე დივიზიონებში მოთამაშე ლეგიონერების შესახებ. პირველ დივიზიონში მინდორზე შეიძლება იყოს 5 ლეგიონერი, მეორეში — 3. რაც შეეხება უმაღლეს დივიზიონს, აქ უცხოელი ფეხბურთელების რიცხვი განსაზღვრული არ არის. ეს ხელს შეუწყობს რუსეთის კლუბების ევრო-ტურნირებში უკეთ გამოსვლას.

სამატჩო განაცხადში მწვრთნელმა 18 ფეხბურთელის გვარი უნდა შეიტანოს. უმაღლეს და პირველ დივიზიონებში მატჩის განმავლობაში შეიძლება სამი მოთამაშის შეცვლა, მეორე დივიზიონში კი ხუთისა. სეზონის განმავლობაში უმაღლესი და პირველი დივიზიონების კლუბებს ორჯერ შეუძლიათ ახალი ფეხბურთელების მიღება. პირველი სატრანსფერო პერიოდი 25 მარტამდე გაგრძელდება, მეორე კი 1 ივლისიდან 6 აგვისტომდე.

„ნაციზმი უნდა გავაძევოთ ფეხბურთიდან“

ასეთი განცხადება გააკეთა მადრიდის მერიის პრეს-ატაშემ. საქმე ის არის, რომ მადრიდის ხელისუფლებმა დაიწყეს პროცესი დედაქალაქის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც არ ებრძვის თავის გულშემატკივართა შორის რასიზმის გამოვლინებას. „ატლეტიკოს“ მატჩებში ხშირად ნახავთ სვასტიკიანი დროშების ფრიალს, კანონის ძალით კი აკრძალულია ყოველგვარი მოწოდება რასიზმისა და ძალადობისაკენ. კლუბის პრეზიდენტი ხესუს ხილი აცხადებს, რომ იგი არავის მოუწოდებს ასე მოიქცნენ, გულშემატკივრებს თვით მიაქვთ ეს დროშები.

თუ მერია კლუბის დანაშაულს დაამტკიცებს, მაშინ ხილს მოუხდება 5-დან 50 მილიონამდე პესეტის (36-დან 360 ათას დოლარამდე) გადახდა. „ჩვენი მთავარი ამოცანაა დავუმტკიცოთ კლუბებს, რომ ფხიზლად ვაკვირდებით მათ მოქმედებას. ვაპირებთ ფეხბურთიდან ნაციზმის ერთხელ და სამუდამოდ განდევნას.“

„თქვენ სჭირდებით ფეხბურთს“

არგენტინელი გაზეთის „ოლეს“ კორესპონდენტი ესაუბრა მარადონას, რომელმაც დარწმუნებით თქვა, რომ სულ მალე ფეხბურთს დაუბრუნდება.

● სჭირდებით ფეხბურთს...

— ფეხბურთს აღარ ვჭირდები. ერთადერთი, რასაც ჩემთვის მნიშვნელობა აქვს, გულშემატკივრებია.

● ისინი გთხოვენ დაბრუნდეთ?

— დიახ, ასეა, მაგრამ არ ვიცი, შემდეგ რას გავაკეთებ. მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ მაინც ზოგ რამეზე ვოცნებობ. ძალიან მინდა ჩემს ძმა უგოსთან ერთად „ბოკა ხუნიორსში“ თამაში.

● თვლით, რომ „ბოკას“ შეუძლია თამაშის გაუმჯობესება?

— დიახ, ამ კლუბმა გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს, ვიდრე 1998 წელს თამაშობდა.

● შეიძლება თუ არა ნაკრებს თქვენი იმედი ჰქონდეს?

— რა თქმა უნდა, თუმცა არ ვიცი როგორ პოზიციაზე. მოთამაშე ვიქნები, მწვრთნელი თუ მენეჯერი, თუმცა ფეხბურთელმა პიჯაკი და შარვალი რომ ჩაიცვა, მაინც არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი მოთამაშე იყო.

● წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ხელმძღვანელის პოსტზე?

— არ ვიცი. ამ მხრივ რაიმე კონკრეტული წინადადება არ მიმიღია.

ზიკოსაც გადასწვდნენ და ფრიც ვალტერსაც

„რომას“ ჩეხი მწვრთნელის ზდენეკ ზემანის მიერ ატეხილმა სკანდალმა, როცა მან ჯანლუკა ვიალის და ალესანდრო დელ პიეროს ბრალი დასდო დოპინგის მოხმარებაში, შარშანდელ შემოდგომაზე იფეთქა, მაგრამ ექსტაზური გაგრძელება ვეღარ ჰპოვა. თუმცა დოპინგის თემა უფრო გააქტუალურდა.

Word soccer-ის ფურცლებზე, ამ ცოტა ხნის წინათ, კიდევ ერთხელ გაიუღერა არასაფუძველმოკლებულმა საინტერესო მიგნებებმა. კერძოდ, ამ გამოცემის მიმომხილველმა 80-ნი წლების იტალიურ პრესას ჩაუკირკიტა, სადაც სახელგანთქმული ბრაზილიელ ფეხბურთელ ზიკოზე ასეთი რამ ამოიკითხა: „ის შექმნილი იყო ლაბორატორიაში“. და, აი თურმე რატომ: ზიკო რიოს ღარიბთა კვარტალში დაიბადა და იზრდებოდა, რის გამოც სრულფასოვნად ვერ იკვებებოდა. ის ცხრა წლის იყო, როცა საფეხბურთო სელექციონერებმა დაადგეს თვალი, ხოლო 15 წლისამ მთელს ბრაზილიაში გაითქვა სახელი როგორც ამომავალმა ვარსკვლავმა. მაგრამ ამ უზადო ტექნიკის მქონე ყმაწვილს ერთი დიდი ნაკლიც გააჩნდა — ის უკვე მამაკაცი იყო, მაგრამ ბავშვივით უსური აღნაგობის, რაც ხელს უშლიდა პროფესიული კარიერის დაწყებაში. ამ პრობლემას „ფლამენგოს“ (სადაც ზიკო ირიცხებოდა) ექიმები სერიოზულად მიუდგნენ, რომლებსაც ერთი პირობა ხელიც კი ჰქონდათ ჩაქნეული ჭიაყელა ზიკოზე და კლუბის ხელმძღვანელებს არწმუნებდნენ, რომ ამ ტექნიკური, მაგრამ კაფანდარა ბიჭისგან არაფერი გამოვაო. თუმცა, როცა მედიკოსებმა აზრი შეიცვალეს და ინტენსიურად დაიწყეს ზიკოს ანაბოლური სტეროიდებით გაჭყიპვა, შედეგი წარმატებული გამოდგა — ზიკოს ქვასავით მყარი კუნთები დაედო სხეულზე, მოიმატა წონაში და სიმაღლეში, გახდა ნამდვილი პროფესიონალი და სუპერვარსკვლავი, ოღონდ ლაბორატორიული წესით.

Word soccer იმასაც აღნიშნავს, რომ კრეატინის გამოყენებას ხშირად უკუჩვენებებიც მოსდევს, რაც საბოლოო ჯამში ვერ ეხმარება სპორტსმენებს მედიკამენტური გზით მიაღწიონ წარმატებებს. მაგალითად მოჰყავთ 20-იან და 30-იან წლებში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ეგიდით ჩატარებული მატჩები, როცა აბებით გაჭყეპილი მოთამაშეების გუნდი დიდი ანგარიშითაც კი მარცხდებოდა.

ბოლოს 1954 წელსაც გადასწვდნენ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გფრ-მ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა უნგრეთზე 3-2. ფაქტია, რომ მატჩიდან სულ მოკლე ხანში გფრ-ს რამდენიმე ფეხბურთელი ჰეპატიტით დაავადდა, რამაც გამოიწვია ჭორები რომ ისინი სხვადასხვა სახის სტიმულატორებს იღებდნენ. ხოლო უნგრელთა გუნდის ლიდერი ფერენც პუშკაში კი აცხადებდა, რომ მატჩის შემდეგ გერმანელთა გასახდელში შევიდა და დაინახა, რომ მათი რამდენიმე ფეხბურთელი თავს უჩვეულოდ ცუდად გრძნობდა, ზოგს გულის რევის შეგრძნებაც აწუხებდა, პუშკაშის ამ „აღმოჩენამ“ გფრ-ს კაპიტანი ფრიც ვალტერი ერთობ აღაშფოთა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ პუშკაში საერთოდ არ ყოფილა ტრიუმფატორთა გასახდელში.

...ფიფას კი ამ ჭორ-მართალზე ყური არასდროს გამოუბერტყავს.

დათო თავართქილაძე

არგენტინელების გაფიცვა

გაურკვეველი დროით გადაიდო არგენტინის ჩემპიონატის დასაწყისი. არგენტინის ფეხბურთელთა ასამბლეამ გადაწყვიტა გამოაცხადოს გაფიცვა. ამით დაბალი ლიგის მოთამაშეებს პირველმა დივიზიონმა სოლიდარობა გამოუცხადა. კონფლიქტის მიზეზია სტადიონებზე წესრიგისა და უსაფრთხოების არარსებობა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრანდონამ მხარი დაუჭირა მოთამაშეებს: „იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც დიდ გასამრჯელოს იღებენ, გადაწყვიტეს მიემხრონ იმათ, ვისაც ასეთი შემოსავალი არა აქვს“.

ჟურნალისტების ვარაუდით, ეს გაფიცვა შეიძლება დაახლოებით 20 დღეს გაგრძელდეს. მაგრამ იგი არ ეხება ნაკრებისა და კლუბების ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს, რომლებიც ამ პერიოდში არის დაგეგმილი.

ჭადრაკი

მაჯჩი, ბოლოს და ბოლოს დაინიშნა

მას შემდეგ, რაც დეკემბერში მსოფლიო ჩემპიონმა ჟუჟა პოლგარმა კარგა ხნის გაურკვევლობისა და ყოყმანის შემდეგ თანხმობა განაცხადა დაიცვას თავისი წოდება ჩინელ პრეტენდენტთან, მსოფლიოს ექსჩემპიონ სიუ ჟუნთან, ფიდეს მოლაპარაკება ჰქონდა სხვადასხვა ქალაქთან ამ უმნიშვნელოვანესი ასპარეზობის მოწყობის შესახებ. მაგრამ აი უსიამოვნო რამ – მატჩის მოწყობის მსურველი არავინ აღმოჩნდა.

ამასთან დაკავშირებით ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა მიიღო გადაწყვეტილება მატჩი მაისის ბოლოს ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში ჩაატაროს.

გარკვეული უხერხულობა ამ ორთაბრძოლასთან დაკავშირებით მაინც არსებობს. საქმე ის არის, რომ მარტში ჟუჟა პოლგარს შვილი უნდა შეეძინოს. როგორ ითამაშებს იგი ძუძუთა ბავშვით მაის-ივნისში ეს სრულიად ბუნდოვანია. ამასთან, შემოდგომაზე კი შინიოოვში უკვე დაგეგმილია ქალთა ახალი მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით.

სურათებზე: ჟუჟა პოლგარი (მარცხნივ); სიუ ჟუნი

ლას-ვეგასი გაჭირვეულდა?

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში ნოკაუტ-სისტემით (1997 წლის დეკემბერი-1998 წლის იანვარი, გრონინგენი – ლოზანა) ასე თუ ისე, ჩატარდა, მაგრამ აი მეორე ასეთ პირველობას დიდი სიძნელეები შეხვდა. ჯერ იყო და იგი დეკემბერში უნდა ჩატარებულიყო, შემდეგ დასახელდა იანვარი, ახლა თითქოს ზაფხულისათვის გადაიდო და 19 ივნისიდან 17 ივლისამდე უნდა ჩატარდეს ლას-ვეგასში (აშშ). მაგრამ დახეთ, ახლა ლას-ვეგასიც გაჭირვეულდა, რომელსაც ეს თარიღი ხელს არ აძლევს – აქ ხომ ამ დროს სეზონია და სულ სხვა სახის გასართობი ღონისძიებები იმართება.

როცა ამის შესახებ ფიდეს ვიცეპრეზიდენტს ანდრეი სელივანოვს ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს, ასე უპასუხა:

– არა, ჩემპიონატი არავითარ შემთხვევაში არ გადაიდება. თუკი იგი ლას-ვეგასში არ ჩატარდა, სხვაგან მოეწყობა, მაგრამ იმავე ვადებში.

– მას შემდეგ, რაც გარი კასპაროვი მკვდრეთით აღდგა და ვეიკან-ზეეს სუპერტურნირში გაიმარჯვა, ხომ არ გამოიყენებს რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია თავის ავტორიტეტს, სთხოვს კასპაროვს დაივიწყოს ყოველგვარი უთანხმოება და მონაწილეობა მიიღოს ამ მსოფლიო ჩემპიონატში?

– გვინდა მოველაპარაკოთ გარი კასპაროვსა და კირსან ილიუმჟინოვს. თუმცა რაიმე კომპრომისის გამონახვა, კასპაროვის დადებითი პოზიციის გარეშე შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს, მან განაცხადა:

– ყველა პრობლემის გამორკვევის მიზნით ფიდეს დელეგაცია გაიგზავნა ლას-ვეგასში. სულ მალე შეგატყობინებთ მისი მისიის შედეგებს და იმას, თუ სად გაიმართება, ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემპიონატი.



18-წლიანი ჰეგემონია სუზანმა დაასამარა

რეპორტიორების ალყაში მოქცეულმა ავსტრალიელმა მოციგურავე ქალმა სუზან ო'ნილმა მსოფლიო თასის ეტაპზე მალმეში გუშინწინ ისეთი მსოფლიო რეკორდი მოხსნა, რომელიც 18 წლის განმავლობაში „ინარჩუნებდა პოზიციებს". ძველი რეკორდი ამერიკელ მარი მეგჰერს ეკუთვნოდა, რომელიც მან ფლორიდაში დაამყარა 1981 წლის 2 იანვარს – მეგჰერსმა 200 მეტრი ბატერფლაი ცურვაში 2 წუთში და 5,65 წამში დაფარა, ხოლო 18 წლის შემდეგ სუზან ო'ნილმა ეს 2 წუთსა და 5,37 წამში შეძლო.

47 500 000 $-იანი კონტრაქტი

ეს მართლაც იშვიათი კონტრაქტია. ჰოკეის კლუბ „ფლორიდის" მესვეურებმა გააფორმეს ხუთწლიანი ხელშეკრულება რუს პაველ ბურესთან შემდგომი ერთწლიანი გაგრძელების უფლებით. მართალია, მისი ფინანსური მხარის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ზოგი წყარო 47 500 000 დოლარს ასახელებს (ე.ი. 9 500 000-ს ერთ სეზონში) და 10 500 000 დოლარს ბოლო მეექვსე სეზონისათვის.

როგორც ბურემ განაცხადა, შეიძლება თავისი ამერიკული კარიერა სწორედ „ფლორიდაში" დაამთავროს, სწამს, რომ ამ კლუბს ბევრი რამ შეუძლია.

სურათზე: პაველ ბურე.

გაიცანით „ევრო-2000"-ის თილისმა?

იგი ამ დღეებში წარსდგა საჯაროდ, როცა კონტინენტის მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მასპინძლებმა ბელგიისა და ჰოლანდიის ტელემაყურებლებმა ცისფერ ეკრანზე იხილეს „ევრო-2000"-ის თილისმა – პატარა მხეცუნა, რომელიც ლომის ბოკვერს მოგაგონებთ. ეგ არის, რომ ნიდერლანდებისა და ბელგიის ერთიანი ფერებით აქვს ფაფარი შეღებილი, შუბლზე კი, პატარა წითელი რქები ამოსვლია.

ევროპის პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთა თქმით, თურმე ეს არსება ამ ორი ქვეყნის საზღვარზე, ტყეში აღმოუჩენიათ. მცირე ზომის წყალობით იგი ახერხებდა რომ საუკუნეების განმავლობაში შეუმჩნეველი ყოფილიყო. ჯერ სახელი არა აქვს – გადაწყვეტილია უახლოეს დღეებში სპეციალური კონკურსის ჩატარება მოხდენილი სახელის შესარჩევად.

„ევრო-2000"-ის თილისმა გამოირჩევა საზრიანობითა და სისწრაფით. იგი ძლიერია, გამბედავი და მიზანსწრაფვით გამოირჩევა, და სავსებით შესაძლებელია ლომად მიიჩნიონ. მაგრამ ბავშვივით ანცია და ვერც ფლიდობას დასწამებ, რის გამოც ეშმაკს უფრო უწოდებს კაცი. იგი ძალზე გულმხიარულია და იუმორის უსაზღვრო გრძნობით გამოირჩევა.

ირწმუნებიან, რომ „ეშმაკუნა" მხოლოდ საფეხბურთო მატჩების დროს, მაქსიმუმ 90 წუთს, პლიუს დამატებით დროში გამოჩნდება ხალხში. არავინ უწყის სად გაჰქრება მატჩებს შორის შესვენებაზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი „ფეხბურთით ცხოვრობს და ეს სავსებით საკმარისია".

როგორც კი ხალხში აღმოჩნდა, მხეცუნამ შეიყვარა ფეხბურთი. ხიბლავს, როგორც თამაშის ყურება, ასევე ბურთით თამაში. თამაშით კი ურიგოდ არ თამაშობს, რაშიც დიდ დახმარებას უწევს სწრაფი რბენა და მაღალი ნახტომები.

„ევრო-2000"-ის თილისმა კარგად ფლობს საფეხბურთო ენას და სწრაფად ითვისებს უცხო ენებსაც, ინგლისური იქნება ეს, ფრანგული, გერმანული, ესპანური თუ ნებისმიერი სხვა. განსაკუთრებით უყვარს სამხრეთამერიკელ კომენტატორების მიბაძვა, როცა ისინი აღფრთოვანებული ყვირილით: „გო-ო-ო-ო-ო-ლი!!!!! ზეზე წამოჭრიან ხოლმე ტრიბუნებზე ათასობით გულშემატკივრებს. იცის ევროპის ყველა ქვეყნის საფეხბურთო სიმღერა. ამასთან, „ეშმაკუნასათვის" უცხო რამაა შოვინიზმი – მას ყველაზე უფრო ის გუნდი მოსწონს, რომელიც უკეთ თამაშობს ფეხბურთს.

„ევრო-2000"-ის თილისმა დესპანი იქნება ყველა იმ ოფიციალური ღონისძიებების, რაც კი წინ უსწრებს ევროპის პირველობასა, აგრეთვე ტურნირის დღეებში. 9 თებერვალს კი ოფიციალურად წარუდგენეს იგი ჟურნალისტებს მიუნხენის ტრადიციულ უდიდეს სპორტულ ბაზრობაზე JSPO.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმავე გულისტკივილს გამოთქვამს ქართული სპორტისა და განათლების ამაგდარი მუშაკის, შესანიშნავი პიროვნების რევაზ კერესელიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, დოცენტი

რევაზ კერესელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

რევაზ კერესელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, კოლეგებს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს განათლებისა და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის

რევაზ კერესელიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თარაზულად: 5. ნხლ-ის კლუბი, 7. ფეხბურთელი — თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე, 8. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 11. ილეთი ჭიდაობაში, 12. ნხლ-ის კლუბი, 13. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 16. რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი რჩეული საფეხბურთო კლუბი, 17. ქვეყანა — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი, 21. პარტია ჩოგბურთში, 22. გრძელი მანძილი, საასპარეზო, 23. ნბა-ს ცნობილი კალათბურთელი, 26. ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 27. თამაშობა ერთმანეთზე გადახტომით, 28. გერმანიის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. ბრაზილიელი ფეხბურთელი (ევროპაში), 2. რბოლის მონაკვეთი, 3. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი *(ფოტო)*, 4. ავსტრიული ფულის ერთეული, 6. ხალიჩა ძიუდოში, 9. პერსონაჟი ქართული ოპერიდან, 10. ქართველი მოჭადრაკე ქალი *(ფოტო)*, 14. ინვენტარი ჭიდაობაში, 15. ფეხბურთელის ჩასაცმელი, 18. საუკეთესო ცხენი, 19. უკრაინის საფეხბურთო გუნდი, 20. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 24. კინოსურათი ანუ... 25. მთიანეთი აღმოსავლეთ ციმბირში.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მაგულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლc8! – 2. ლc5X.
1. ...ეc7 2. ეe5X. 1. ...კc7 2. მe7X.
1. ...კd6 2. ლe6X. 1. ...ეc6 2. ლxc6X.
1. ...მd3 2. ლc4X. 1. ...მe4 2. feX.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3-4. მახარაძე, 5. გორობოვა, 7-8. ჭორიძე, 9. ენდერი, 11. ბადრო, 14. შაიბა, 15. ბეისბოლი, 16-18. ალავერდი, 19. იპოდრომი, 22-24. კარტოზია, 25. პახომოვი, 28. სტადიონი, 29. დესი, 30. სნელი, 33-34. არტიმე, 35. ორტერი, 36-37. იაკუშინი, 38. ივანიცკი. **შვეულად:** 1. ერერა, 2. ჰოკეი, 3-16. მარღანია, 4-18. ევერესტი, 5-19. გრენობლი, 6-21. ალტობელი, 7-17. ჭორჭია, 10-20. იდალგო, 12. ბეარზოტი, 13. ალიოხინი, 22. კარელინი, 23. რეგატა, 24. არდილესი, 25. პრიუდომი, 26. ოუენსი, 27. ახალკაცი, 31. ატაშე, 32. კეინო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელის" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე